

ოქმი N3

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 25 იანვარი

ქ. ოზურგეთი, 12⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

თავმჯდომარის მოადგილე: ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვავა,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე,

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ვ. ჩიგოგიძე, ნ.შარაშანიძე,
ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ლ. ჭელიძე, ვიცე მერი, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ლ.თოიძე, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ნინო ტაბატაძე

მომხსენებელმა ნ. ტაბატაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო სოციალური დახმარების გაცემის წესის კორექტირებული პროექტი.

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე - საკითხზე მიმდინარეობდა საჯაროა დმინისტრაციული წარმოება.

ლ. მგელაძე - მე-17 მუხლი-ერთჯერადი სოციალური დახმარება, რომლის მიზანიც ვერ გავიგე, ჩემთვის მიუღებელია და მე ვერ დავუჭერ მხარს.

ი. საჯაია - შეგიძლიათ შეხვიდეთ სამუშაო ჯგუფში და დაადგინოთ შეჭირვებულია თუ არა ბენეფიციარი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა 10 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ნ. შარაშანიძე, ლ.მგელაძე.

დადგენილება თან ერთვის

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ საკითხზე იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

აზრი გამოთქვას: ლ. ბიგვავა -ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ იმას,რომ შეიძლება გაიზარდოს ფასები.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე საყვავილე შედის ნუსხაში?

მ. წივწივაძე - საყვავილეც,ასევე აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში მდებარე ჯიხურები გაიყიდება აუქციონით.

თ. ნადირიძე - აუქციონი ელექტრონულად ჩატარდება?

მ. წივწივაძე - დიახ. eauction.ge-ზე გამოცხადდება.

გ. ძიმისტარიშვილი - აღმაშენებლის ქუჩაზე ჯიხურები მეპატრონეებს პირდაპირი წესით რომ მივცეთ, არ შეიძლება? მე წინააღმდეგი ვარ აუქციონის.

გ. კობალაძე - ჩვენ შევთავაზეთ იჯარით აელოთ ობიექტები, მაგრამ უარი გვითხრეს იჯარაზე.ეს არის სახელმწიფო ქონება,მინიმუმ ერთი წელი ექნებათ დრო.

თ. ნადირიძე - ხალხი თუ არის გაფრთხილებული?

მ. წივწივაძე - ამზომველები რომ მიდიოდნენ,მეპატრონეებს აფრთხილებდნენ.

. **ლ.მგელაძე**-ს ვმ ფართია ჯიხური, 2006 წელს გაუფორმდათ 5წლიანი იჯარა, იჯარას რამდენიმე წელია გაუვიდა ვადა, შესაბამისად ხელშეკრულების თანახმად ქონება დარჩა მუნიციპალიტეტს. მე მაინც იმის მომხრე ვარ, რომ 5 წელი საკმარისია იჯარისთვის.

ლ. მგელაძე - 2016 წლის აუქციონების ნუსხა ამოვწურეთ?

მ. წივწივაძე - კი, 2016 წლის ნუსხა ამოწურულია, გუშინ ჩავატარეთ ბოლო აუქციონი.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა 9 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, გ. ძიმისტარიშვილი, ნ. შარაშანიძე, ლ.მგელაძე.

განკარგულება თან ერთვის

4. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფს დაემატა ვ. ჩიგოგაძე.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

განკარგულება თან ერთვის

5. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა, რომ აუცილებელია გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსი გამოცხადდება 30 იანვრიდან 20 მარტამდე.

აზრი გამოთქვას: ნ. გოგუაძე - ჩვენი მუნიციპალიტეტი არის ერთადერთი, რომელსაც არ აქვს მიღებული გერბი და დროშა, მაგრამ ერთადერთი მუნიციპალიტეტი ვართ ასევე, ვისაც არ ჰყავს ერთიდაიგივე ავტორი, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებს. პრესტიჟის საკითხია, რომ ქ. ოზურგეთმა მიიღოს განსხვავებული გერბი და დროშა და არა კალკირებული, ამიტომ მოვუწოდებ ყველას მეტი დაინტერესება გამოიჩინონ საკუთარი ქალაქის სიმბოლოების შესაქმნელად.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

განკარგულება თან ერთვის

6. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში ე. ნინოშვილის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონებების (ს/კ 26.26.54.023 და 26.26.54.047) გაერთიანების თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ ე. ნინოშვილის ქ. N 2-ში არსებული უძრავი ქონება საჭიროა გაერთიანდეს ერთ საკადასტრო კოდში, რათა საპატრულო პოლიციასა და პრობაციის სამსახურს მიეცეს საშუალება ახალი შენობების აშენების.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

განკარგულება თან ერთვის

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

მომხსენებელმა კ. ხაბალაშვილმა წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. (ანგარიში თან ერთვის)

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე - დასამტკიცებელი გეგმებით სამუშაო გეგმა ალბათ?

კ. ხაბალაშვილი - დიახ, იანვრის ბოლომდე მერს და საკრებულოს წარვუდგენთ სამუშაო გეგმას დასამტკიცებლად.

ლ. მგელაძე - თქვენ მიერ აღმოჩენილი დარღვევები ჩანს რომ საკმაოდ მძიმეა, რა რეკომენდაციები გაეცით დარღვევების აღმოსაფხვრელად და სრულდება თუ არა თქვენი რეკომენდაციები?

კ. ხაბალაშვილი - როცა ორგანიზაციას ვამოწმებთ, ძირითადად ვითვალისწინებთ გარემოებას და გავლენას, ე.ი. შეუსაბამობას კანონმდებლობასთან. გაცემულ რეკომენდაციებზე მიმდინარეობს მონიტორინგი ანუ შემოწმებიდან ერთი თვის შემდეგ ორგანიზაციას ეგზავნება ცხრილი, რომლითაც ირკვევა რა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული.

გ. ძიმისტარიშვილი - თქვენ შეამოწმეთ ა(ა)იპ-ი საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“ ამბობთ რომ აღმოჩნდა დარღვევები, სასამართლომ განიხილა ა/ა/იპ-ის საკითხი, გამოდის რომ ბატონი მურთაზ აბაშიძე მართალია? ხომ არ გქონია რაიმე დავალება მერისაგან?

კ. ხაბალაშვილი - მე ვერ ჩავერევი სასამართლო ფუნქციებში.

ლ. ბიგვავა - 2015 წლის ანგარიშებში დაფიქსირებული ხარვეზები არის აღმოფხვრილი თუ არა?

კ. ხაბალაშვილი - საკანონმდებლო ბაზაში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე რიგი ხარვეზები აღმოფხვრილია.

ლ. ბიგვავა - მიიღეთ თუ არა კონკრეტული დავალება მერისაგან რომელიმე ობიექტის შემოწმებაზე?

კ. ხაბალაშვილი - შემოწმებებს ვაკეთებთ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

ნ. შარაშანიძე - ანგარიში მოვისმინეთ ზოგადად, თუ დაგვირიგდება ანგარიშები? თქვენ ამბობთ, რომ რეკომენდაციებს აძლევთ ორგანიზაციებს დარღვევების აღმოსაფხვრელათ? თუ გაუთვალისწინებიათ მიღებული რეკომენდაციები დამისახელეთ ერთი ა(ა)იპ-ი მაინც.

კ. ხაბალაშვილი - 2015 წელში გაცემული რეკომენდაციები ძირითადად გათვალისწინებული აქვთ ორგანიზაციებს. მაგ: ა(ა)იპ-ი „სერვისცენტრი“, ბაღების გაერთიანება და სხვა.

გ. ძიმისტარიშვილი - „სერვისცენტრი“-ში მუშაობს 50 ადამიანი, 150 უფროსი ადგათ თავზე?-ამ კუთხით თუ ამოწმებთ ორგანიზაციებს?

ნ. გოგუაძე - დავიცვით რეგლამენტი.

გ. კობალაძე - ჩვენ შეკითხვებით გადავედით სულ სხვა ჭრილში, გთხოვთ საკითხი შევაფასოთ.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ლ. მგელაძე, ნ. შარაშანიძე.

8. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ბესიკ მელუა

მომხსენებელმა ბ. მელუამ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. (ანგარიში თან ერთვის).

ბ. მელუამ მაძღობა გადაუხადა სამსახურის თითოეულ თანამშრომელს, განსაკუთრებით ხელმძღვანელებს გაწეული საქმიანობისათვის.

აზრი გამოთქვას: **გ. ძიმისტარიშვილი** - რატომ არ დაინერგა მუნიციპალიტეტში ონლაინ-გადაცემა? თუ გეხებათ თქვენ? 2. ზეგანაკვეთურ მუშაობისათვის თუ უხდით თანამშრომლებს?

ბ. მელუა - მიმდინარეობს მუშაობა არასამთავრობოსთან აღნიშნულ საკითხზე. 2. ზეგანაკვეთური მუშაობა არის ჩვენი კეთილი ნება.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად

13²⁵ წთ-ზე განახლდა სხდომა.

9. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

მომხსენებელმა მ. ჯაფარიძემ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვას: თ. ნადირიძე - თქვენ თქვით რომ ძალადობის მსხვერპლი 3 ბენეფიციარი გადაარჩინეთ.

მ. ჯაფარიძე - ეს იყო არასამთავრობო „გადარჩენილები საქართველოსათვის“ პროექტი, ამიტომ ბენეფიციარები გადაგზავნილნი იქნენ ამ ორგანიზაციაში.

ნ. ორაგველიძე - აფინანსებთ კლუბ „ჰორიზონტს“, რატომ?

მ. ჯაფარიძე - ჩვენ ვთხოვთ კოლეჯს ღია სივრცეში ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას, რაც განაპირობებს ახალგაზრდების ჩართულობის გაუმჯობესებას და ვაფინანსებთ მიზერული თანხით.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად.

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, გ. ძიმისტარიშვილი, ნ. შარაშანიძე, ლ. მგელაძე.

10. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ნაცვალაძე

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვას: გ. ძიმისტარიშვილი - ტექნიკურად კარგად მუშაობს ეს სამსახური.

გ. კობალაძე - თქვენი სამსახურის ანგარიში ახალი არ არის საკრებულოსათვის, ეს განყოფილება მუშაობს ზეგანაკვეთურად, რისთვისაც მაღლობას ვუხდით მათ.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად.

11. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის ინსპექტირების, ზედამხედველობის და ურბანული განვითარების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მამია მახარაძე

მომხსენებელმა შ. გაბრიჩიძემ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე - მაღლობა გადაუხადა სამსახურს.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, გ. ძიმისტარიშვილი, ნ. შარაშანიძე, ლ. მგელაძე.

12. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ბადრი მეგრელიშვილი

მომხსენებელმა ბ. მეგრელიშვილმა წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვს: გ. კობალაძე - სანქციები მოქმედებს?

ბ. მეგრელიშვილი - რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ არ გვექონია შემთხვევა სასამართლომდე მისულიყო საქმე.

თ. ნადირიძე - საყოველთაო გაწვევის შესახებ რაიმე მითითება გაქვთ?

ბ. მეგრელიშვილი - არა, იყო ხიდაშელის ბრძანება საყოველთაო გაწვევის გაუქმებაზე, რომელიც ახალმა მინისტრმა გააუქმა.

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მომხრე ყველა

13. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე


მომხსენებელმა მ. წივწივაძემ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

დაადგინეს: ანგარიში შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარე გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა